ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების შესახებ

როგორც გამოცდილება აჩვენებს, როდესაც რამდენიმე პრობლემის ერთმანეთთან დაკავშირება ხდება, როგორც წესი ეს სიტუაციას უფრო ართულებს და შედეგად ვერცერთი ამ პრობლემის გადაწყვეტა ვერ ხერხდება. შესაძლოა მსგავსი სურათი შეიქმნას საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით. ტარიფების დაკლების და ამით მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების კვალობაზე, „ინვესტორებთან" მოლაპარაკების გზით, მთავრობა ცდილობს მიაღწიოს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების დაკლებას, რაც თავისთავად და უპირობოდ, საზოგადოებაში სიკეთედ არის აღქმული. ტარიფების დაკლების წყაროდ კი მთავრობასა და გამანაწილებელი კომპანიების მფლობელებს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე გამანაწილებელი კომპანიების მარჟაში ჩადებული ზედმეტი კომპონენტი და მის ხარჯზე მათ მიერ მიღებული ზედმეტი შემოსავლის დათმობა განიხილება.

- **არის თუ არა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი მიუღებლად მაღალი?**

შეიძლება რამდენიმე ფაქტორი მოვიყვანოთ რომელიც საპირისპიროს მიუთითებს. მართლაც:

ტარიფების სიძვირე ძირითადად დასტურდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით რაც ძირითადად ჟურნალისტების და არა პროფესიული ორგანიზაციების მიერ ტარდება. თუმცა ქუჩის ინტერვიუებში მოქალაქეები ხშირად ჩივიან ელექტროენერგიის სიძვირეზე, მაგრამ დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეკითხვის სხვანაირად დასმის შემთხვევაში ასეთივე კომენტარი იქნებოდა წამლების, კარაქის და ხორცის, ან სკოლის სახელმძღვანელოების და სხვა საქონლის შესახებ. მოქალაქეები მიესალმებიან საქონლის და მომსახურების გაიაფებას, მაგრამ რამდენად გამორჩეულია ამ თვალსაზრისით ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი, კიდევ გამოსაკვლევია. ისეთივე დადებითი შედეგი ექნება არა საქონლის გაიაფებას არამედ შემოსავლების ზრდას, ანუ ეს უფრო ზოგადი, სოციალური კეთილდღეობის საკითხია ვიდრე ენერგეტიკული ტარიფების.

ტარიფების დონის განხილვისას არამართებულია სხვა, თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან პირდაპირ შედარებაც, ვინაიდან იქ შეიძლება ტარიფი სუბსიდირებული იყოს ან ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარეობდეს (მაგალითად აზერბაიჯანი), რაც ჩვენთვის შეიძლება გაუმართლებელი ან შეუძლებელი იყოს.

ნაკლებ სუბიექტური კრიტერიუმების მოშველიებით კი ვხედავთ, რომ:

- ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, 2011 წელს **ელექტროენერგიაზე გაწეული ხარჯის საშუალო წილი მოსახლეობის მთლიან ხარჯებში დაახლოებით 3%-ს შეადგენს.** ანუ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის რამდენადმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ვერ მიიღწევა ტარიფების შემცირებით, ვინაიდან მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის, მთლიან ხარჯებში ელექტროენერგიის ხარჯის წილი ისედაც არ არის მაღალი.
  მცირეშემოსავლიანი მოსახლეობისათვის ეს წილი უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო და მაღალ შემოსავლიანი მოსახლეობისათვის, მაგრამ მათთვის ასევე მაღალია წილი სხვა, პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილების ხარჯებისა. ანუ ეს არა იმდენად ენერგეტიკის, რამდენადაც სოციალური უზრუნველყოფის საკითხია.

- დღეს მოქმედი ტარიფები დადგენილია 2006 წელს, მას შემდეგ კი 6 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. შესაბამისად ამ დროის განმავლობაში მომხდარ ინფლაციას თუ გავითვალისწინებთ აღმოჩნდება, რომ ტარიფის რეალური ეფექტური სიდიდე სულ ცოტა 35-40 პროცენტით შემცირდა. თუმცა თავიდან ახალმა ტარიფებმა მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია მაგრამ განსაკუთრებული პროტესტი არ გამოუწვევია. ანუ ის რაც ასე თუ ისე მისაღები გახდა 2006-წელს მიუღებელი ვერ იქნება 2012-ში. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ პერიოდში ელექტროენერგიის ხარჯების წილი მოსახლეობის შემოსავალებთან შედარებით 4.3%-დან 2.9%-მდე შემცირდა. სავარაუდოდ მომხმარებელთა გაღიზიანებას უფრო ელექტროენერგიასთან დასუფთავების გადასახადის მიბმა და შესაბამისად გაზრდილი ხარჯი იწვევდა.

- 2010-2011 წლებში შეინიშნებოდა ელექტროენერგიის მოხმარების დაახლოებით 10%-იანი ზრდა რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 2012-შიც შენარჩუნდა მცირე ზრდა. აღნიშნული ირიბად მიანიშნებს რომ ტარიფი სიდიდე მოხმარების შემზღუდი მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის.

ამდენად შეხედულება ენერგიის ტარიფების მიუღებლად მაღალი დონის შესახებ, სულ ცოტა, მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

- **გადაწყდება თუ არა ტარიფის დაკლებით სოციალური პრობლემები?**

როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა (მათ შორის ჩვენს წინა წერილში www.weg.ge[1]) ტარიფის ხელოვნურად შემცირებით მეტ სარგებელს იღებს მდიდარი და მსხვილი მომხმარებელი ვიდრე სოციალურად დაუცველი ნაწილი. ამდენად ტარიფების ხელოვნური დაწევა, საზოგადოებრივი რესურსის ხარჯზე, სოციალურ უთანასწორობას ზრდის. გამოსავალი არა იმდენად ენერგიის ტარიფების შემცირებაში არამედ მიზნობრივი სოციალური დახმარების

[1] http://weg.ge/index.php?option=com_content&task=view&id=67&Itemid=1 - ელექტრონული ვერსიის მკითხველებისათვის

პროგრამებშია. ტარიფები კი ყველა შემთხვევაში უნდა ასახავდეს ენერგიის საიმედო მიწოდების საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს.

- **როგორ ჩამოყალიბდა დღევანდელი სამომხმარებლო ტარიფები**

ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფში რამდენიმე კომპონენტია, მათ შორის გამომუშავების და გადაცემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს გენერატორების და იმპორტიორების შემოსავალს და განაწილების ტარიფი (მარჟა) რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს გამანაწილებელი კომპანიების ფუნქციონირებას. არის სხვა კომპონენტებიც რომელთა განხილვას აქ არ შევუდგებით.

დღეს მოქმედი ტარიფების უდიდესი ნაწილი და კერძოდ სამომხმარებლო ტარიფები და ასევე განაწილების მარჟები დადგინდა 2006 წელს სემეკის შესაბამისი დადგენილებით. მათ შორის, განაწილების მარჟაში იგულისხმებოდა ნაწილი, რომელსაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში უნდა ემოქმედა და უნდა უზრუნველეყო ადრე ჩადებული ინვესტიციების ამოგება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2007-ში და განმეორებით 2010-ში გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები საქართველოს მთავრობასა და ინტერ-რაოს შორის. ამ მემორანდუმით განისაზღვრა სამომხმარებლო ტარიფის სიდიდის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდზე, ასევე განისაზღვრა თელასის საინვესტიციო ვალდებულებები, მათ შორის ვალდებულება აეშენებინა 100მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

საქართველოს მხარემ შეასრულა მემორანდუმის პირობა და სემეკმა თავისი დადგენილებით გააგრძელა მაღალი განაწილების მარჟის და შესაბამისი სამომხმარებლო ტარიფის მოქმედების ვადა 2015 წლამდე.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ანალოგიური პირობებით მემორანდუმი დაიდო ენერგო-პროსთან და ასევე შესრულდა საქართველოს მხარის მიერ.

თავისთავად მემორანდუმის პირობა, რომლითაც „ინვესტორს“ წინასწარ მიეცემოდა სადგურის ასაშენებელი თანხა უპრეცედენტო და ცალმხრივია, მაგრამ მეორე მხარის მიერ ეს პირობაც დაირღვა, ინტერ-რაომ მიღებული ზემოგება დაიტოვა და სადგურის მშენებლობა არ განახორციელა. ჩვენი შეფასებით, დღეის მდგომარეობით 2006 წელს ხელშეკრულების მიხედვით მოთხოვნილთან შედარებით სს „თელასს“ ზედმეტად მიღებული აქვს დაახლოებით 330 მილიონი ლარი, თუ რა ნაწილი დაიხარჯა აქედან ინვესტირებაზე, უცნობია.

გავრცელებული ინფორმაციით სწორედ ამ თანხის დაბრუნებას ცდილობს ამჟამად ქართული მხარე განაწილების ტარიფის შემცირების საშუალებით. ამის წინაპირობა არის ის რომ ერთის მხრივ მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს და მეორეს მხრივ ინტერ რაოს მიერ არ სრულდება შეთანხმებული პირობები.

- **უნდა მოხდეს თუ არა ტარიფების გადახედვა?**

ელექტროენერგიის ტარიფები უდაოდ გადასახედია, ვინაიდან ისინი მოქმედებს 2006 წლიდან და ვერ ასახავს მას შემდეგ შეცვლილ მდგომარეობას. ეს სავარაუდოდ მოითხოვს უცხოურ ენერგოკომპანიებთან დადებული მემორანდუმებიდან გამოსვლას ამის ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინებით.

ტარიფის ნორმალიზაციისათვის უნდა მოხდეს ტარიფის ყველა კომპონენტის გადახედვა სემეკის მიერ, მათ შორის განაწილების, გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ნაწილების. ასევე უნდა შეფასდეს ელექტროენერგიის წარმოების და მიწოდების კომპონენტი რომელმაც უნდა ასახოს მოხმარების ზრდის კვალობაზე ზამთარში იმპორტის გაზრდილი ხარჯები და ახალი სადგურების მშენებლობის ხარჯები[2]. ამ სიდიდეების მიხედვით უნდა გამოითვალოს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი.

სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა დადგინდეს განაწილების ტარიფის აუცილებელი სიდიდე და მოხდეს გამანაწილებელი კომპანიების მარჟების შემცირება მინიმალურ აუცილებელ დონემდე. ამავე დროს, გამანაწილებელი კომპანიების მარჟის შემცირება არ გამოდგება მემორანდუმით ზედმეტად ამოღებული თანხების დასაბრუნებლად. ვინაიდან, თუ გამანაწილებელმა კომპანიამ ვერ მიიღო აუცილებელი საოპერაციო შემოსავალი, ის გამართულად ვერ იფუნქციონირებს, რაც საბოლოოდ პრობლემას შეუქმნის მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგებას. ზედმეტი კომპონენტები კი ტარიფიდან ისედაც უნდა ამოღებულ იქნას კანონის შესაბამისად.

ვინაიდან ტარიფის დადგენა არ არის ინტერ-რაოს ან სამინისტროს კომპეტენცია, ის უნდა დაადგინოს სემეკმა, ხოლო ინტერ-რაოსთან მოლაპარაკებები უმჯობესია გაიმართოს არა ტარიფის შემცირების, არამედ მემორანდუმებით ზედმეტად წაღებული თანხების რაიმე ფორმით დაბრუნების შესახებ.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მოსაზრება ელექტროენერგიის ტარიფების მიუღებლად მაღალი დონის შესახებ არ არის საკმარისად გამაგრებული სოციოლოგიური და ეკონომიკური არგუმენტებით.

ამავე დროს საჭიროა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფების ოპტიმიზაცია სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათი ეკონომიკურად გამართლებულ ოპტიმალურ დონეზე, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს ზემოგების მომტანი კომპონენტების ამოღებას გამანაწილებელი კომპანიების მარჟებიდან, მაგრამ ასევე მოითხოვს საბოლოო ტარიფის სხვა კომპონენტების გადახედვას. საბოლოო შედეგი შესაძლოა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს დღევანდელი დონიდან.

---

[2] ელექტროენერგიის წარმოების ღირებულების საბოლოო ტარიფში ასახვის დღევანდელი მეთოდი ძირეულ შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს, რაც ცალკე განხილვის თემაა.

„ინვესტორებთან“ მოლაპარაკება და შეთანხმება უნდა მოხდეს მემორანდუმით ზედმეტად მიღებული თანხების ოდენობის და მათი დაბრუნების მექანიზმების შესახებ. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრა კი უნდა მოხდეს მიზნობრივად, ენერგეტიკასთან ყოველგვარი დაკავშირების გარეშე, უმჯობესია ფულადი დახმარებების სახით.

გვინდა იმედი დავიტოვოთ, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა არ მოხდება გამარტივებული პოპულისტური ფორმით, არამედ მთელი საზოგადოება ამ შემთხვევას სათანადოდ გამოიყენებს იმისთვის, რომ უკედ გაერკვეს ზემოთ მოყვანილ საკითხებში და ინტუიტიურ/ინსტიქტური მიდგომებიდან გადავალთ უფრო დასაბუთებულ, რაციონალურ და სისტემურ ხედვებზე.

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“

WEG

www.weg.ge

5 დეკემბერი, 2012წ.